ადრესატი:

ლევან ზოიძე
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**08-11422315135**
თარიღი: **11/11/2022**

მოგახსენებთ, რომ 2023-2026 წლეების ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში სანდასუფთავების მოსაკრებლის სავარაუდო შემოსავალი უნდა დაიგეგმოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 მარტის №20 დადგენილების "ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" შესაბამისად და 2013-2022 წლებში ადგილობრივ ბიუჯეტში იურიდიული პირებიდან ადმინისტრირებულ შემოსავლებზე დაყრდნობით. მიმდინარე წელს იურიდიულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ამოღების მაჩვენებლების გათვალისწინებით სავარაუდო ფაქტიური შემოსავალი შეადგენს 250000 ლარს.

ამასთანავე სანდასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოსაკრებლის 100%-იან ადმინისტრირებას ხელს უშლის იურიდიულ პირთა მხრიდან დასაბეგრი ობიექტების ფუნქციონირების ხშირი შეწყვეტა, რაც განპირობებულია ურჩ გადამხდელთა მიმართ ისეთი სახის იძულებითი ღონისძიებების გატარების არარსებობით, რაც შესაძლებელს გახდის გადასახადის მაქსიმალურ ადმინისტრირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით 2023-2026 წლეებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში სანდასუფთავების მოსაკრებლით მიღებული შემოსავალი ყოველწლიურად უნდა დაიგეგმოს 300000 ლარის ოდენობით.

გიორგი ბეჟანიძე

ზედამხედველობის სამსახური-სამსახურის უფროსი